მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2025 წლის საგრანტო კონკურსი

კოორდინატორი:
დავით ჩიჩუა

ასისტენტები:
ტატა ოქროჯანაშვილი
ნინო ცოკილაური

ფინანსური კონსულტანტი:
ზურაბი აბრამიშილი

კონკურსის მიზანი

- მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდა;
- აკადემიური დონის ამაღლება და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარება;
- საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაუმჯობესება;
- სწავლის პროცესში კვლევის ინტეგრაციისა და თემატური და/ან ინტერდისციპლინური მიმართულებით კვლევითი აქტივობის განვითარება.

(c) www.rustaveli.org.ge

კონკურსის ძირითადი პირობები

- კონკურსში მონაწილეობა შეუძლია **საქართველოს მოქალაქეს, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ მაგისტრანტს**;
- მაგისტრანტს უნდა ჰქონდეს **სტუდენტის აქტიური სტატუსი**;
- გრანტის მიღების პერიოდში მაგისტრანტი უნდა იყოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **დამამთავრებელი ან დამამთავრებლის წინა სემესტრის** სტუდენტი;
- მაგისტრანტს უნდა ჰყავდეს **სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი;**
- მაგისტრანტს **შეიძლება** ჰყავდეს **კონსულტანტი;**
- მაგისტრანტს კონკურსზე შეუძლია წარადგინოს **მხოლოდ ერთი პროექტი**;
- პროექტის განხორციელების შედეგად **მაგისტრანტი ვალდებულია დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი** და ფონდში წარმოადგინოს **ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი ან ცნობა აღნიშნული დოკუმენტის გაცემის შესახებ**.

(c) www.rustaveli.org.ge

ძირითადი პირობები და ფინანსური მოთხოვნები

- საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს **მინიმუმ 4 თვე, მაქსიმუმ – 10 თვე**
- ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს **6000 ლარს;**
- მაგისტრანტის სტიპენდია არ უნდა აღემატებოდეს **1200 ლარს;**
- საგრანტო დაფინანსება <u>არ ითვალისწინებს</u> პროექტში ჩართული **სხვა პირების** (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, კონსულტანტი) **შრომის ანაზღაურებას**;
- პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანადაფინანსებას **(არ ითვლება სახელმწიფო გრანტი ან სტიპენდია);**
- გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებს.

(c) www.rustaveli.org.ge

ბიუჯეტის ხარჯვითი კატეგორიები

- სტიპენდია (ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 1200 ლარს);
- სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების, საველე სამუშაოებისა ან/და ექსპედიციის ხარჯი;
- საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯი (კონფერენცია, კონგრესი, ვორქშოპი, სემინარი და სხვა);
- უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯები;
- სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები (სწავლის სემესტრულ გადასახადი, პროფესიული ლიტერატურის შეძენის ან/და პროფესიული ასოციაციის წევრობის ხარჯები და სხვა);

სასწავლო-კვლევითი გრანტით დაუშვებელია ლეპტოპის, პლანშეტური კომპიუტერის, მობილური ტელეფონის, საოფისე პრინტერის და/ან სკანერის, კარტრიჯის, უწყვეტი კვების წყაროს და უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი, სატრანსპორტო საშუალების შეძენა.

(c) www.rustaveli.org.ge

ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი

- **ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი – 2025 წლის 9 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრის 16:00 საათამდე;**

- **ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი – 2025 წლის 7 ნოემბრის 18:00 საათამდე;**

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, რომელშიც ჩარიცხულია კონკურსის მონაწილე მაგისტრანტი, რეგისტრაცია GMUS-ში – **„ორგანიზაციის პროფილის“** შექმნა;

- კონკურსის მონაწილე მაგისტრანტის, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და კონსულტანტის (საქართველოს მოქალაქე) რეგისტრაცია GMUS-ში – **„მეცნიერის პროფილის“** შექმნა, **ბიოგრაფიული მონაცემების** შევსება და **აკადემიური ხარისხის** და **აკადემიური პოზიციის დამადასტურებელი დოკუმენტების** ატვირთვა;

- პროექტის რეგისტრაცია მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსზე;

- ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია - **„განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ”**.

(c) www.rustaveli.org.ge

საკონკურსო დოკუმენტაცია (1/2)

- კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (გენერირდება GMUS-ში);
- აბსტრაქტი (ივსება GMUS-ში);
- საპროექტო წინადადება (იტვირთება GMUS-ში);
- მაგისტრანტის, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და კონსულტანტის პროფესიული ბიოგრაფიები (CV) (გენერირდება GMUS-დან და იტვირთება პროექტში);
- პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (ივსება GMUS-ში);
- პროექტის განხორციელების ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (ივსება GMUS-ში);

(c) www.rustaveli.org.ge

საკონკურსო დოკუმენტაცია (2/2)

- ცნობა მაგისტრატურის აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მაგისტრანტის სწავლის შესახებ (იტვირთება GMUS-ში);
- კონსულტანტის თანხმობის წერილი (იტვირთება GMUS-ში);
- თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ (იტვირთება GMUS-ში);
- ცნობა თანადაფინანსების შესახებ (იტვირთება GMUS-ში);
- „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (გენერირდება GMUS-დან).

(c) www.rustaveli.org.ge

პროექტის რეგისტრაცია GMUS-ში

- **GMUS - ში რეგისტრაციის ბმული - GMUS.RUSTAVELI.ORG.GE ;**

- **GMUS - ში ორგანიზაციებისა, მეცნიერის პროფილისა და პროექტის რეგისტრაციის გზამკვლევის ბმული - https://rustaveli.org.ge/geo/grantebis-martvis-ertiani-sistema**

პროექტების შეფასება

კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანების მე-9 და მე-10 მუხლებით დადგენილი წესებით.

- პროექტებს აფასებს ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია, რომელიც განიხილავს კონკურსზე წარმოდგენილ განაცხადებს და გამოავლენს გამარჯვებულ პროექტებს;

- დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს **18 ან მეტი ქულა**.



(c) www.rustaveli.org.ge

დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

- მაგისტრანტი ვალდებულია პროექტის განხორციელების გეგმა - გრაფიკში შედეგებში მიუთითოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვა!
- თუ პროექტი ითვალისწინებს რეიტინგულ ჟურნალში სტატიის გაგზავნის ან გამოქვეყნების შედეგს, იგი მიღწეულად განიხილება თუ ჟურნალი ან კრებული ინდექსირებულია: **Scimago Journal Ranking** ან/და **ERIH plus** ბაზებში.
- ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გამარჯვებულს ავანსის სახით გადაერიცხება მთლიანი ბიუჯეტის **80%**, ხოლო დარჩენილი **20%** გადაირიცხება გამარჯვებულის მიერ წარმოდგენილი საბოლოო ანგარიშის განხილვის შემდეგ.
- პროექტი **დასრულებულად ჩაითვლება** იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრანტი ფონდში წარმოადგენს მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს, ან ცნობას ამ დოკუმენტის გაცემის შესახებ!



(c) www.rustaveli.org.ge

მადლობა
ყურადღებისთვის!

კითხვების დრო